ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2468405

ნომერი: AR1379615

თარიღი : 18.02.2016

გაცემის თარიღი : 11.03.2016

გაცნობის თარიღი : 11.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

მოქალაქე თამაზ მურვანიძის 18.02.2016წ. #AR1379615 განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 18 თებერვლის #AR1379615 განაცხადით მომართა თამაზ მურვანიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, კაიროს ქუჩა, #42-ში, შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი საკადასტრო კოდი #01.19.22.008.055) სასაწყობე დანიშნულების შენობა-ნაგებობის კორექტირებული (დამატებით საწყობის მოწყობა) არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, ხოლო მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 23 აპრილიდან 2013 წლის 23 აპრილამდე. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო, დღეისათვის, მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში, აქტი ძალადაკარგულია.

განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, არასწორად დაფიქსირდა მაჩვენებლები, რის გამოც, წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა მითითებულ ბრძანებაში და დაფიქსირდეს: განაშენიანების ფართობი (კვ.მ.): 1013,6; სასაწყობო ფართობი (კვ.მ.): 945,1; საერთო ფართობი (კვ.მ): 945,1.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანებაში როგორც დაფიქსირდა, იგი განხილული უნდა იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის #01/799 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან ერთად. შესაბამისად, კორექტირებული პროექტით განხორციელდა სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების შეტანა, რაც საჭიროებდა მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემას. ამასთან, ვინაიდან გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა, მასში განაშენიანებისა და საერთო სასაწყობო ფართობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდა კორექტირებამდე და კორექტირებული არქიტექტურული პროექტებით გათვალისწინებული ფართობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ერთად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის 1–ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სამსახურის მიერ ადგილი არ აქვს 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის დაშვებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას თამაზი მურვანიძეს 2016 წლის 18 თებერვლის #AR1379615 განაცხადის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აპრილის #124377 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge